ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №72-ს

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2014 წლის „12" „ნოემბერს"

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის № 9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მოთხოვნათა შესაბამისად სსიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, საკუთარი ასიგნებების ფარგლებში ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვით. („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის საფუძველზე) (კოდი 50100000, 50112000)

ერთის მხრივ სსიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა (შემდგომში შემსყიდველი) მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ივანე აბაიაძის სახით, მისამართი: გარდაბნის რაიონი, სოფ. სართიჭალა ს/კ 226575024. საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. საქართველოს ბანკი; ბანკის კოდი BAGAGE 22 ა/ა GE79BG0000000188421500 ხოლო მეორეს მხრივ შპს „თეგეტა მოტორსი" (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით მისამართი: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი 5, საბანკო რეკვიზიტები: ს/კ #202177205 ს.ს. „თიბისი ბანკი", ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE80TB0600000024467853. ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: შემსყიდველის ბალანსზე რიცხული ავტონანქანის (HYUNDAI SANTAFE სახMZM # 959) შეკეთება (შემდგომში მომსახურება) ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. მომსახურების ღირებულება

2.1 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 505 (ხუთასხუთი) ლარს.
2.2. სათადარიგო ნაწილებისა და გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი მოცემულია ხელშეკრულების დანართი №1-ში.
2.3. დანართი №1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარება

3.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.
3.2. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერის შემდეგ.
3.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

4. მომსახურების განხორციელების ვადები და ადგილი

4.1 მომსახურება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის ავტოტექმომსახურების ცენტრში ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) დღეში..
4.2. მომსახურებაში განხორციელდება მიმწოდებლის ავტოტექმომსახურების ცენტრში, მისამართი ქ. თბილისი. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი 5

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად განახორციელოს მომსახურება.
5.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვას მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.
5.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების განუხრელი შესრულება.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ განხორციელებული მომსახურება იქნება ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, ორივე მხარის წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშფაქტურის საფუძველზე. წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარებში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების ვადების და ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

10.2 მხარეები თანხმდებიან, რომ თუ მიმწოდებლის მიერ, მომსახურების განხორციელების ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაგადაცილებული დღეებზე დაკისრებული პირგასამტეხლოსთან ერთად დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით და გაწყვიტოს ხელშეკრულება, უარი თქვას მომსახურების მიღებაზე და ანაზღაურებაზე.

10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია განახორციელოს მთლიანი მომსახურეობა ან მისი ნაწილი;

11.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

11.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.3.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდებისას, განახორციელოს კონტროლი. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენლები: სსიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის მთავარი სპეციალისტი შოთა ჯორჯიკია (შემდგომში „კონტროლის განმახორციელებელი პირი“).

12.2 კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის ფუნქციებია:

12.2.1 გაწიოს კონტროლი მომსახურების მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

12.2.2 დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული მომსახურება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

12.2.3 უზრუნველყოს მომსახურების მიღება.
12.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
12.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
13.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.
14.3 პირობები რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამბრის ჩათვლით..
15.2 ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ქართულ ენაზე, ორი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

„შემსყიდველი"

ივანე ბბაიაძე
მეურნეობის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

„მიმწოდებელი"

თემურ კოხოძე
გენერალური დირექტორი

დანართი №1

	გასაწევი მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების ჩამონათვალი (HYUNDAI SANTAFE სახMZM # 959)				
	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1	ზეთი ტრანსმისიის	ლიტრი	8	22	176
2	ფილტრი სალონის	ცალი	1	25	25
3	ფილტრი ჰაერის	ცალი	1	20	20
4	რადიატორის ზედა მილი	ცალი	1	45	45
5	რადიატორის ხუფი პატარა	ცალი	1	15	15
6	ანტიფრიზი	ლიტრი	3	15	45
7	ავტ. კოლოფის ზეთის და ფილტრის შეცვლა	გამოცვლა	1	80	80
8	ავტომანქანის ქვემოდან გარეცხვა	რეცხვა	1	25	25
9	ჰაერის ფილტრის შეცვლა	ცალი	1	10	10
10	სალონის ფილტრის შეცვლა	ცალი	1	15	15
11	ანტიფრიზის შეცვლა	ლიტრი	3		20
12	რადიატორის ზედა მილის შეცვლა	ცალი	1	25	25
13	გამოხდილი წყალი	ლიტრი	4	1	4

„შემსყიდველი"

ივანე აბაიაძე
მეურნეობის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

„მიმწოდებელი"

თემურ კოხოძე
გენერალური დირექტორი